ხელშეკრულება № 95
მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი **27 აპრილი 2022 წელი**

ერთი მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (შემდგომში – შემსრულებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გელა წიკლაურის** სახით და მეორე მხრივ, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – დამკვეთი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ლევან მეხუზლას სახით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის IX[1] თავის, 36[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, 2022 წლის 6 აპრილის № 000001164 საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წერილისა და 2022 წლის 27 აპრილის №560-03 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 **ხელშეკრულება -** შემსრულებელსა და დამკვეთს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 **ხელშეკრულების ღირებულება** - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანი შესრულებისათვის.
1.3 **დღე, კვირა, თვე -** კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მხრიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პირის სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პაატა ნარიმანიძესთვის (პ/ნ 01025014288) - 2022 წლის 2 მაისიდან 13 ივლისის ჩათვლით დაგეგმილი საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების საკვალიფიკაციო კურსის და სასერტიფიკაციო გამოცდის მომსახურების გაწევა.
2.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი: „80510000 - მომსახურებები სპეციალისტების მომზადების სფეროში“.
2.3. დაფინანსების წყარო: **სააგენტოს საკუთარი სახსრები (პროგრამა: მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება)**
2.4. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულ ტრენინგ კურსზე რეგისტრაციის თარიღად ჩაითვლება შემსრულებელსა და დამკვეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თარიღი.
2.5. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ელექტრონული ფორმით, რომელიც დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობები

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2 300** (ორი ათას სამასი) ლარს;
3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული თანხა წარმოადგენს სასწავლო კურსის საფასურს 2 000 ლარს და სასერტიფიკაციო გამოცდის საფასურს 300 ლარს, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს შემდგეგი გრაფიკით:
   - არაუგვიანეს 2022 წლის 2 მაისამდე 2 000 ლარი;
   - სასერტიფიკაციო გამოცდის საფასურის, 300 ლარის გადახდა უნდა განხორციელდეს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე;
3.3. ხელშეკრულების 3.1.-პუნქტში განსაზღვრული თანხა წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული პირისთვის გასაწევი მომსახურებისათვის ასანაზღაურებელ თანხას;

3.4. სასერტიფიკაციო კურსის ვადაზე ადრე დასრულების შემთხვევაში დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს გამოცდის საფასურის ჩარიცხვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ამ ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

მუხლი 4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება გაუწიოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

4.2 დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულების საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.3 ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული პირის მიერ კურსის მიტოვების ან დაუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს 3.1. პუნქტში აღნიშნული თანხა.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

5.1. მომსახურეობის გაწევის ადგილია - ქ. თბილისი, წმ ქეთევან დედოფლის გამზირი 96, (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული შენობა), ან/და დისტანციურად ელექტრონული ფორმატით.

5.2. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემრის ჩათვლით.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე, მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს, შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

7.3 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ელექტრონული ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების პირობების ცვლილება შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი შეთანხმებით რომელიც, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. დავების განხილვის წესი

10.1. ხელშეკრულების პირობების შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წარმოშობილი დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, თავისი უფლებები ან ვალდებულება გაასხვისოს, ან გადასცეს მესამე პირს.

11.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით და ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი	დამკვეთი
სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი **მისამართი:** ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 **საიდენტიფიკაციო კოდი:** 206350312 **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა **მიმღების დასახელება:** ხაზინის ერთიანი ანგარიში **ბანკის კოდი:** TRESGE22 **მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:** 707727122 **გელა წიკლაური** ხელმოწერა: Gela Tsiklauri Digitally signed by Gela Tsiklauri	**სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო** **მისამართი:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. **ს/კ** 204446965 **წარმომადგენელი:** თავმჯდომარე **ტელ.:**2 97 41 03 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა; **ბანკის კოდი:** TRESGE22; **მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:** 200122900; **ლევან მეხუზლა** ხელმოწერა: LEPL National Wine Agency Digitally signed by LEPL National Wine Agency Date: 2022.04.27 16:26:53 +04'00'